პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლენინური უნივერსიტეტი

№ 37 (351)
16 დეკემბერი, შაბათი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, ადგილკომის და პროფკომის ორგანო

ТБИЛИСИС УНИВЕРСИТЕТИ — Орган Парткома, Ректората, Комитета ЛКСМ, Месткома и Профкома Тбилисского Государственного Университета

საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში გაიზრდება პროფესიული კავშირების, კომკავშირის, კოოპერაციის, სამეცნიერო ტექნიკური და სამეცნიერო საგანმანათლებელო საზოგადოების, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ორგანიზაციების, ლიტერატურის, ხელოვნების, ეროვნალისტიკის მუშაკთა კავშირების, კულტურულ საგანმანათლებლო და სპორტულ საზოგადოებათა როლი და მნიშვნელობა. პარტია ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაფართოებასა და გაძლიერებას, მასების შემოქმედებითი ენერგიის, ინიციატივის განვითარებას.

ამავამად საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შრომითი მეგობრობის ყოველი ღონისძიებით განვითარება და შრომის კომუნისტური ფორმების წახალისება, მშრომელთა აქტიურობის შემდგომი გაძლიერება კომუნიზმის მშენებლობაში, ზრუნვა მასების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი მზარდი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში გაფართოვდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა კულტურის, განათლებისა და სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მართვაში, ძირეულად გაუმჯობესდება ამ ორგანიზაციების საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად, განსაკუთრებით გაიზრდება სახალხო რაზმებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებით გაიზრდება როლი კომკავშირისა, როგორც ახალგაზრდობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, პარტიის აქტიური თანაშემწისა და რეზერვისა.

კომკავშირი მუდამ მზარდამხარ მიჰყვებოდა და მიჰყვება პარტიას და განუწყვეტელ პარტიულს მის გადაწყვეტილებებს. ამგვარად კომკავშირი მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, მიიზიდოს იგი ახალი საზოგადოების პრაქტიკულ მშენებლობაში, ამზადებდეს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა თაობას, რომლებიც იცხოვრებენ, იმოქმედებენ და საზოგადოებრივ საქმეებს განაგებენ კომუნიზმის ეპოქაში. კომუნისტურ პარტიას ჩვენი ახალგაზრდობა მიაჩნია დიდ აღმშენებელ, შემოქმედებით ძალად კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობის ეპოქაში. ამ ეპოქაში ახალგაზრდობა ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგში, ეროვნული კულტურის ყველა სფეროში, ეროვნული ხელოვნების ყველა ჟანრში, ეროვნული ეროვნალისტიკის ყველა ასპექტში, ეროვნული ფილოსოფიის ყველა ფრონტზე

ამხანაგური სასამართლოები მოქმედებენ

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირისა და ეროვნებათა საბჭოების საკანონმდებლო განწარახულებათა კომისიის მიერ 1959 წლის 23 ოქტომბერს გამოქვეყნებული ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულების საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ამხანაგური სასამართლოები.

ჩატარდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, იურიდიული, ბიოლოგიისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების ამხანაგური სასამართლოების სხდომები, განხილულ იქნა სტუდენტების: ს. კვასტანიანის, რ. პერტენავას, ვ. ხვისტანის, გ. აბულაძისა და ბ. ჭანკვეტაძეების ქმედებასთან დაკავშირებული საქმეები, მაგრამ ზოგიერთ ფაკულტეტზე (ფილოსოფიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის) ამხანაგური სასამართლოები 1960 წელს საერთოდ არ აუარჩევიათ. განვლილ პერიოდში ბევრ ფაკულტეტზე ადგილი ჰქონდა ამხანაგური სასამართლოების მუშაობისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას.

მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში სტუდენტთა მიერ დისციპლინისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ეკონომიურ ფაკულტეტებზე, უნივერსიტეტის ამხანაგურ სასამართლოებს არ განუხილავთ არც ერთი საქმე. ფაკულტეტის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები იშვიათად იხილავდნენ ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საკითხს, არ უწევდნენ მათ სათანადო დახმარებას პრაქტიკულ მუშაობაში.

ზოგ ფაკულტეტზე არ იცავდნენ ამხანაგური სასამართლოების რწმუნების ვადებს; მაგალითად, ისტორიის, ფიზიკის, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე 1959 წლის არჩეული ამხანაგური სასამართლოები 1961 წლის ოქტომბრამდე მოქმედებდნენ, ეკონომიურ და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე კი სტუდენტთა ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარედ პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ.

ყოველივე ამის შესახებ იმსჯელა უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა 1961 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე და მიიღო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით შესაძლო გახდა ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გარდაქმნა. გეოგრაფია-გეოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეკონომიური, ბიოლოგიის, იურიდიული, ქიმიის, ფილოსოფიის, ისტორიის ფაკულტეტებზე ჩატარდა ამხანაგური სასამართლოების არჩევნები; მათ შემადგენლობაში აირჩიეს მოწინავე სტუდენტები: მ. ბაღათურია (ბიოლოგიის ფაკულტეტი), რ. სულეიმანოვი (ფილოსოფიის ფაკულტეტი), ლ. რუხაძე (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი), ო. ნოზაძე (ეკონომიური ფაკულტეტი) და სხვ. არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ფაკულტეტების პარტიული და კომკავშირული მიურიები.

ახლადარჩეული სასამართლოები შეუდგნენ მუშაობას. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ამხანაგურმა სასამართლომ (თავმჯდომარე III კ. სტუდენტი ლ. რუხაძე) განიხილა საქმე სტუდენტ პ. მურადოვისა, რომელმაც უნივერსიტეტის შინაგანაწესი უხეშად დაარღვია და შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ამხანაგურმა სასამართლომ (თავმჯდომარე სპორტის ოსტატი ლ. ჩიკვილაძე) განიხილა ამ ფაკულტეტის სტუდენტების რ. ჩართოლანის, გ. დოხნაძისა და ლ. ქალდანის საქმეები.

კარგად მუშაობს სტუდენტთა ქალაქის ამხანაგური სასამართლოც (თავმჯდომარე იურიდიული ფაკ. III კურსის სტუდენტი ვ. კეთილაძე).

ზოგ ფაკულტეტზე (ფიზიკის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, მექანიკა-მათემატიკის) ჯერაც არ არის არჩეული სტუდენტთა ამხანაგური სასამართლოები. საჭიროა ამ ფაკულტეტების პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დროულად აღმოფხვრან ეს ნაკლი.

ზაურის ტბა მზის ჩასვლისას

ფოტოტიუდი

გ. შეუილაძისა

ახალგაზრდა მწერალთა წრემ მუშაობა განაახლა

მუშაობა განაახლა სტუდენტთა შემოქმედებითმა გაერთიანებამ — უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ.

წრე, რომელიც 1947 წელს დაარსდა, ფართო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღებით სარგებლობს, იგი სამართლიანად ითვლება ქართული მწერლობის ახალგაზრდა კადრების ყველაზე სიმედიდო, ყველაზე პოპულარულ სამეფლოდ. აქ იზრდებიდა და მხატვრულ ოსტატობას იხვეჭდა ბევრი დღეს უკვე ცნობილი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, ლიტერატურის-მცოდნე.

წრის ორგანო, ალმანახი „პირველი სხივი", რომლის უკანასკნელი მე-5-6 წიგნი 1959 წელს გამოვიდა, მკითხველმა სიყვარულით მიიღო.

მით უფრო გულდასაწყლებია, რომ ამ ბოლო ხანებში წრის მუშაობა მოადუნა.

9 დეკემბერს არჩეულიქნა ახალი გამგეობა.

გამგეობა უკვე შეუდგა მუშაობას. ამ დღეებში მოეწყობა შეხვედრა გამოჩენილ ქართველ მწერალთან კონსტანტინე გამსახურდიასთან.

ასეთი შეხვედრები მხატვრული სიტყვის ოსტატებთან ტრადიციად უნდა იქცეს.

წრის ძირითადი მიზანი შემოქმედებითი ახალგაზრდობის შემოკრებაა.

კვირაში ერთხელ წრის სხდომაზე განხილული იქნება დამწყებ შემოქმედთა ნაწარმოებები. მოეწყობა შემოქმედებითი შეხვედრები სხვა ლიტერატურულ წრეებთან; გაიმართება გამსვლელი სალამოები თბილისის მუშა-მოსამსახურ ე ი ა-თვის წარმოება-დაწესებულებებში და ა. შ.

შექმნილია ალმანახ „პირველი სხივის" სარედაქციო კოლეგია. მასალების შეგროვება წარმოებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს ხანში მკითხველი ახალგაზრდა ალმანახის მომდევნო, მეშვიდე წიგნს.

ბ. ბარდაველიძე

ᲡᲐᲥᲐ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲥᲪᲕᲜᲐ

ამ დღეებში სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თაოსნობით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ისტ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ რისმაგ ფორდანმა.

საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ფილოსოფიის ფაკ. V კურსის სტუდენტმა რ. შარაშენიძემ — „კომუნიზმი, როგორც ისტორიული აუცილებლობა", იურიდიული ფაკ. V კურსის სტუდენტმა ბ. ფხალაძემ — „სახელმწიფოსა და სამართლის სავითარი ბაზა სკკპ ახალი პროგრამის მიხედვით", ეკონომიური ფაკ. II კურსის სტუდენტმა ჯ. კანნიაშვილმა — „საბჭოთა კავშირი — კეთილდღეობის ბურჯი ქვეყანა", ისტორიის ფაკ. IV კურსის სტუდენტმა ლ. ჯაფარიძემ — „კაპიტალიზმის კრიზისი სკკპ პროგრამის შუქზე".

კონფერენცია მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა.

ლ. მინაშვილი,

ისტ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ᲕᲣᲞᲠᲘᲡᲯᲕᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲑᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲠᲨᲔᲛ

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი მრავალი კარგად ჩატარებული ღონისძიების ავტორი გახდა. მათ რიცხვს შეიძლება მივაწეროთ სტუდენტი ახალგაზრდობის შეხვედრა ისტორიის ფაკულტეტის დოცენტ ნოდარ ლომოურთან. რომელმაც საქართველოს ტიროსტული დელეგაციასთან ერთად სიტქმმბერში იმოგზაურა საბერძნეთში, თურქეთსა და ეგვიპტეში.

მომხსენებელმა სტუდენტებს უამბო ათენზე, კონსტანტინოპოლზე, ქიროროზე, ალექსანდრიაზე; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა ეგვიპტეზე, როგორც კოლონიალიზმი ადასავლ თანამედროვე ქვეყანაზე, მის მოსახლეობაზე, მათ ზნეჩვეულებებზე, მდინარე ნილოსზე, ეგვიპტის ისტორიულ პირამიდებზე და ა. შ.

Ჯ. ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ „ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘᲡ" ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ

Შ. ᲩᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ,

ფილოლოგიის მეკნ. კანდიდატი

⊙

კლასიკური ხანის მწერალთა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, XVII—XVIII საუკუნეების მრავალი ქართველი პოეტის (თეიმურაზ პირველის, არჩილის, ნოდარ ცოცუშვილის, ბესიკისა და სხვ.) თხზულებანი, როგორც ცნობილია, ავტოგრაფული ხელნაწერებით არ შენახულა. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს დავით გურამიშვილის ნაწარმოებნი წარმოადგენენ. უკვდავი „დავითიანის" ავტოგრაფი თითქმის უდანაკლოსოდ გადარჩენილა (ამ შესანიშნავი ძეგლის ავტოგრაფის პირები და სხვა ხელნაწერები თვრამეტამდე აღწევს).

აკად. ე. თაყაიშვილი სრულიად მართებულად წერდა: «Ни одного другого грузинского поэта произведения не дошли до нас в такой исправности, как произведения Давида Гурамишвили»

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს იმას, რომ „დავითიანის" ავტოგრაფში პოეტს არ გაპარვია „ალმის შეცდომები", რომელნიც შეტ-ნაკლებად ყველა მწერლის ავტოგრაფში იჩენდა ხოლმე თავს. „დავითიანის "ავტოგრაფში გაპარული ნუხსნით თუ უნელია შეცდომები კარგადაა გასწორებული სიტყვა-ლეო გამოცემაში (დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1955, რედაქტორი ალ. ბარამძე). ძეგლის ავტოგრაფის შეცდომათა ერთ ჯგუფში შედის ისეთი სიტყვები, რომლებშიც ერთი ასო შეცდომით შეცვლილია მეორეთი. მაგ.: ენის მაგიერ წერია ონი (მიჯნორი, დამეშდორო, გვ. 36, 64) ლასის მაგიერ რაე (დაცარე, 98); ინის მაგიერ ენი (მაცოდენე, ჩიდენოს, 144, 51); ბანის მაგიერ მანი (ბედნიერობა, 42); ინის მაგიერ ანი (შეაქმო, 187); ბანის მაგიერ ნარი (მცნენებით, 55); მანის მაგიერ პარი (ტკვარსა, 62); ავტოგრაფში არის მრავალი სხვაგვარი შეცდომაც.

ასეთი შეცდომები მოულოდნელი რიდია ისეთი პიროვნებისაგან, როგორიც იყო თხზულებათა კრებულის გადაწერისას ოთხმოც წელს გადაცილებული. მრავალ ომგადახდილი, ასეული და თითქმის ბრმა პოეტი დავით გურამიშვილი. ჩვენს მკოსანს თავისუფლად შეეძლო ხსენებულ თხზულებათა კრებულს შესახებ გაემეორებინა თავის ტექნიკურ გამოგონებათა ნახაზების გამო წარმოთქმული სიტყვები: „ამის ავად მოხაზულობას ნე დამიწუნებ ,ნ, ცალს თვალით სულ ბრმა ვიყავ. მეორითაც ავად ვხედავდი. ჩემის ფულით მაგის მეტი ვერ შევიძლე" (იქვე, გვ. 304).

გენიალური მგოსნის ალმის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე ეს-ეს სტრიფში, რომელიც ავტოგრაფსა და დღემდე განხორციელებულ ყველა გამოცემაში ასე იკითხება:

„სამ-ოთხ რიგად მუხანამთან გულს
ლახვარი მამალერა.
სულ მატირა ჩემი დღენი, არასოდეს
არ მამღერა:
ვით ბოლოკი მჭნა ა ვ ი ტ ზ ი,
ამაჩოყა, ამაღერა.
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ
დამაბერა"

(დასახ. გამოცემა, გვ. 104—105).

მოყვანილი სტროფის მესამე ტაეპით გამოდის, რომ სიტყვა „ავრეზი" მეცნიერის უნაყოფობას აღნიშნავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სიტყვა არც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებსა და არც ქართული ენის დიალექტოლოგიურ საუნჯეში არსად არ გვხვდება მეცნარის ან ცხოველის უნაყოფობის გამომხატველ ტერმინად. საკმარისია აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში", რომელიც, აკად. ა. შანიძის სიტყვით, „მეტისმეტი მეცნიერული სიფრთხილით ნაწარმოებს ჭირნახულს წარმოადგენს და უაღრესად სანდო მასალებს შეიცავს", განმარტებულია: **„ავრეზი** — ღვინის სიწურავი". საყურადღებოა, რომ ასეთი ახსნა გვაქვს „სიტყვის კონის" ყველა ავტოგრაფსა და ავტორიზებულ ნუსხებში. სიმპატიერესოა, რომ ჩვენი სახელოვანი მწერალი და ლექსიკოგრაფი „სიტყვის კონაში" მეორე ადგილას წერს: **„დაწურავ** — ავრეზში ადგენა". ამ სიტყვას ახლაც ტექნიკურ ტერმინად თვლიან: „ავრეზი — საწურავი **цедилка** (სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, 1959, გვ. 284).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ავრეზს" სალიტერატურო ენაში ან ხალხურ მეტყველებაში სხვაგვარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც „ბრძად არ მისდევს რომელსამე წყაროს" (ა. შანიძე), ეს გარემოება აღიარებენ (ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა

9—10 დეკემბერს ისტორიის ფაკულტეტის ალეკ ბიეროს ინიციატივით ფაკულტეტის სტუდენტები იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვევიან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად დღეს. ზ. შველიძის ხელმძღვანელობით; ჩაატარეს გაერთიანებული თეორიული კონფერენცია. მოაწყვეს ამხანაგური შეხვედრები ჯადრაცში, ფრანგბურთში, კალთბურთში, მაგიდის ოგბურთში და სხვ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჩვენი კორესპონდენტის, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტის ანზორ სიხარულიძის, წერილს ამ კარგი ღონისძიების შესახებ.

ადრეც მევიჭერ ეფოფილურთ თელავში, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო: თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად მივემგზავრებოდით თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები.

სულ სხვანაირი თვალით შეეხედეთ ამჯერად ქალაქს. ასე გეგონა, თითქოს ვერც ის იტევდა ზღვა სიხარულს, რომელიც მოგვკონდა გულით. თელაველი მეგობრები დიდი სიხარულით შეგვხვდნენ.

დაგვთვალიერებინეს თავიანთი შშობლიური ქალაქი — რაიონული ცენტრი, რომელსაც პედაგოგიურ ინსტიტუტს გარდა რამდენიმე საშუალო სკოლა, სპორტული და მუსიკალური სკოლები, ორი ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, მასწავლებლების სახლი, პიონერთა სახლი, დრამატული თეატრი, კინო-თეატრი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ტურისტული ბაზა და სხვა კულტურული დაწესებულებები აშშენებს.

ქალაქი სუფთა, ლამაზი და კეთილმოწყობილია. უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ჩვენ ვეხატებოდეთ, აშშადებს საშუალო სკოლის მასწავლებლებს. იგი დაარსდა 1951 წელს 1989 წელს დაარსებული სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე, რომელსაც 1940 წელს მიეკუთვნა დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველი ერის მოამაგის იაკობ გოგებაშვილის სახელი. ინსტიტუტში არის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი ქართული და რუსული ენისა ად ლიტერატურის განყოფილებებით და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

დღის სამი საათისათვის სტუმარი და მასპინძელი — ყველანი შეგიკრებენ ინსტიტუტის დარბაზში, რომელიც გაჭედილი იყო პირმეცინარი ახალგაზრდა ქალიშვილებითა და ბიჭუკებით.

შეკრება მისასალმებელი სიტყვით გახსნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა ამხ. ყაჭიურმა. მან დამსწრეთ გააცნო თეორიული კონფერენციის დღის წესრიგი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა შ. ბაგრიოვმ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „მშრომელი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში“ მოხსენებამ მოწონება დაიმსახურა. იგი შეცვალა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედინსტიტუტის ლამარა ანტმა ვ. ელამიძემ, რომელმაც მოხსენება ასეთ თემაზე წაიკითხა—„კახეთის 1659 წლის აჯანყება“.

თეორიული კონფერენციის შემდეგ ინსტიტუტის სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ჯადრაკში, კალთბურთში, მაგიდის ოგბურთში და სხვ.

თელავის ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდებმა სპორტის თითქმის ყველა სახეში მოიპოვეს გამარჯვება. თელაველმა კალთბურთელებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 43:22, ჩვენს გუნდში იმ დღეს ყველაზე კარგად ითამაშა უნივერსიტეტის პროგკომის თავმჯდომარემ ნ. ნონიაშვილმა, რომელმაც გუნდს 20 ქულა შესძინა).

მართალია, საერთო ანგარიშით ოგბურთშიც დავმარცხდით, მაგრამ ოლლინტმა, რომელიც უნივერსიტეტის სახელს იცავდა, იმ დღეს გაკვირვა თელაველი მაყურებლები თამაშის ვირტუოზულობით. დამარცხება განვიცადეთ ფრანგბურთშიც, ჭადრაკშიც. ამ უკანასკნელ სახეში კომკავშირის კომიტეტის მდივნებიც ჩაებნენ. უნივერსიტეტის ალეკ კომიტეტის მდივანმა ნ. ქაჯთარაძემ შეხვედრა მოუგო ინსტიტუტის ალეკ კომიტეტის მდივანს გ. ჯუმაშვილს.

არც უფროსები უყურებდნენ გულხელდაკრეფილნი ამ ახალრეზიას. დღეს. ზ. შველიძე-დღეს. ა. მალიძის საინტერესო შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

შემდეგ გაერთიანებული ძალებით მოვაწყვეთ კონცერტი. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თელაველი და თბილისელი სტუდენტები... ბოლოს ამას მეგობრული ბანკეტიც მოჰყვა...

დავემშვიდობეთ ერთმანეთს იმ იმედით, რომ მალე ისევ შეეხვედებით, მაგრამ ამჯერად უკვე თბილისში.

მიგარიის კარსტულ მღვიმეებში

საქართველოს ტერიტორია სპელეოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა. იგი გამოირჩევა მღვიმეების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. საქართველოს მღვიმეებს შესწავლას ბბზეკინველ პერსპექტივები აქვს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მართალია, ღიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში სპელეოლოგიურ სამეშაოებს საფუძველი ჩაეყარა. მაგრამ ამკამად იგი საკმაოდ სიმაღლეზე დგას.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მღვიმეების ნაირნაირ ტიპები. დასავლეთ საქართველოში კარსტული ტიპის მღვიმეებია ძირითადად გავრცელებული. აღმოსავლეთი საქართველო კი გამოირჩევა ხელოვნური და ნახევრად ხელოვნური მღვიმეების ანუ გამოქვაბულების სიჭარბით. კარსტული მღვიმეების განვითარების არე დასავლეთ საქართველოში ზოლისებრივად არის გადაჭიმული მდ. ფასეთიდან ლიხის ქედამდე; იგი მოიცავს კავკასიონის სამხრეთული ფერდობებისა და მთათაწინეთის ვრცელ ნაწილებს. კარსტული მოვლენები გვხვდება იფხაზეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, რაჭაში, სამხრეთ ოსეთის დასავლეთ ნაწილში და სხვ.

ალსანიშნავი სამეგრელოს კარსტული მოვლენები, რომლებიც სპელეოლოგიური თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენ შევეხებით მეგრული კარქეულ მასივს, რომელიც შემოსაზღვრავს მდ. მდ. ხობისა და ტეხურის ხეობებით და ზღვის დონიდან 2023 მეტრს აღწევს. მასივის სიგრძე 17 კილომეტრია, სიგანე—7 კმ. იგი ძირითადად ჩხოროწყუს რაიონში შედის და მხოლოდ მისი მცირე ალმოსავლეთი ნაწილი ეკუთვნის გეგეჭკორის რაიონს.

ამ მასივის გამოსაკვლევად ეაბუშის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა მოაწყო კომპლექსური გეოგრაფიული ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ბოტანიკოსები, გეომორფოლოგები, კარტოგრაფები, სპელეოლოგები და გამოცდილ მკვლევარებთან ერთად ეროვნული სტატიკიდან — ამ სტრიქონების ავტორიც. ექსპედიციაში, რომელსაც გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ლევან მარუაშვილი ხელმძღვანელობდა, აღმოაჩინა და შეისწავლა რამდენიმე უფსკრული და მღვიმე; შქერიანის, თუნდოშვარაში (ანუ დათვის მღვიმე), საჯაგოსი და სხვ. აქედან ყველაზე საინტერესო იყო საჯაგოს კარსტული მღვიმე.

საჯაგოს კარსტული მღვიმე შედგება ვერტიკალური მონაკვეთისა და დახრილი გვირახისაგან, უფსკრულს პირი, რომლის დიამეტრი 9—10 მეტრია, ერთი მეტრით მაღლა მეზობელ ნაკადულზე, რომელიც მისგან 6—7 მეტრით არის დაშორებული.

. . .

ჩასასვლელი ეიაბო კლდეებით დაფარა: ზემოდან ჩასული წყალი და ჩაბრგვლი დამშალი მორები უფრო მეტადაგენერ ხდიდა მას. ზემოდან კაბრონის თოკით საინტდოდ დამაგრებული ფრთხილად ჩამიშვეს უფსკრულში. იგი თანდათან ვიწროდებოდა. დაახლოებით მეათე მეტრზე პატარა საფეხური შემხვდა, რომელზედაც თავისუფლად შეიძლებოდა ჩამოჯდომა, თოკი ზევით „გავეზიანე“ და დაველოდე ჩვენი მეგზურის, იქიერი ახალგაზრდის ბინდო დასასვლის ჩამოსვლას.

რამდენიმე წუთის შემდეგ თოკი პატარა საფეხურზე დავაბი (იგი ბინდოს უნდა დაეცა) გადმოაცურებისაგან) და ჩავეშვი ძირს. ვერტიკალური მონაკვეთი ჩემი ჩაშვება ბრმად მიმდინარეობდა, რადგან დღის სინათლე თანდათანობით კარგავდა სიძლიერეს. ბედნიერი წუთი... იატაკს მივაღწიე. დავაბიე პირველი სიმწელე, სანთელი ავანთე. ჩვენი მოსაზრება სწორი გამოვიდა, უფსკრულის სიმაღლე 45 მეტრამდე აღწევდა წონასწორ ქვეშის ჩაგდების საშუალებით „გავზომეთ“).

სანთლის შუქზე ეაკვე შემეძლო წარმოდგენა შემეშავებინა იმ დარბაზის გრანდიოზულობაზე, სადაც ვიმეოფებოდი. ჭერი იმდენად მაღალი იყო, რომ მისი დანახვა ძლივს შეიძლებოდა სანთლის შუქზე. იმ ადგილიდან, სადანაც მე ჩამოშვეულს, სინათლე ჩამოდიოდა და დარბაზის მხოლოდ მეორეოდენ ნაწილს ანათებდა. ოდნავ ყვავილად დაქანებული იატაკი ქვლებით იყო მოფენილი. ჩვენიოქმ, გვიარჩივ რამდენიმე თავის ქალა, რომელიც ეფიტესად ხარისა იყო. შემდეგ წყვეტყდი ოხის, ცხვრისა და მაჩვის ჩონჩხებს, რომელიც ერთმანეთზე ეყარა. ოცდენიმე წარმოვდგენე ჯგუფი უზარმაზარი ხარებისა, რომელთა ბღავილი აგრეულდა მღვიმის ეკოდეს. ეს ცხოველები ჩამოაცენალნან ამ უფსკრულში, ბუნებრივ საფარგლში, და მათი ჩონჩხები აქ არიენ.

თოკი მოვიხსენი და დარბაზიდან ვასასვლელს დავეწყე ძებნა. შორიდან მესმის წყლის ჩაყრაკი. მეც ამ ხმაურს მივყვავი, ეიდლის სულ ქვეშო ნაწილში რაღაც პატარა ხვრელი შევნიშნე. ის ნაკადელი, რომელიც ზემოდან ჩამოედინებოდა, სწორედ ამ ხვრელში გადის. ხვრელში თავი შეეყავი, წინ წაწევა დავაპირე, — ჩემი სხეული მაგრად ჩაჭედილი აღმოჩნდა და წინ მიეწევეოდი დაქანებაში და თიხის მეოხებით; მოძრაობაში გამდინარე ნაკადელიც მეხმარებოდა. წინ გაშვერილი ხელები ხან აჩქარებდნენ და ხან ამეხრუეებდნენ დაშვებას. ცივი წყალი, რომელიც მთელ ტანზე მესხმებოდა, ესაამოვნებას ეაკენებდა, მოულოდნელად ჩემი ხელები წყალში აღმოჩნდა, სანთელი ჩაქრა და მე წყვდიადში მოვხვედი. ხელის მტევნები ცივი წყალი მიფარავდა.

ერთი წუთით სუნთქვა შეეკავე და **დავთარეენ საკუთარ თავში** ინსტინქტური შიში აქ ბაჩხერის საფრთხის გამო, — ყველაზე მტკივნეული და ყველაზე ძლიერი ბრძანება, რომელსაც ადამიანი განიცდის მიწის ქვეშ. სანთელი ავანთე და ჩამოვკვეტე; მთლიანად ტალახში ვიყავი ამოგახლილი. თანდათან შეეაჩერე თვალი ეაკენენ სინნენულს; აღმოვაჩინეი ეშველებელ დარბაზში, რომელს ეგრის სიმაღლე დაახლოებით 20 მეტრი იყო. სანთლის მკრთალ შუქზე თავისუფლად შეიძლებოდა დარბაზის დიამეტრის დადგენა — 22 მეტრი. აღმოვაჩინე პატარა ტბა, რომელიც მოკასფრო-შუბენე შუქის რაღაც ეაენურ ირის სხივებში ლიცლიცებდა, ეიდლებზე კი მოშეენინ-რეენ ფაბოთ ზოლები იყო გაფლილი. ჩანერი, წყლისა, რომელიც სადღაც ტბაში ჩადიოდა, კიდევ უფრო ეაიბარდა. ავანთე მეორე სანთელი, მე კი წყლის ხმაურს მივაშერე, მალე ვიპოვე ეასკადი, რომელიც ხმაურით ეარდებოდა ეკენდან და ან ირგვლივ რამდენიმე მეტრზე ასვლეიდა გაპრალეულ ქვეს — სტალაგმატეს და სხვ.

სტალაკტიტები, რომლებიც ყინულის ლოდებივით ერთიდნენ სანთლის შუქზე, მთელ ეკერზე იყო მოფენილი, •ატაკი უსწორმასწორო იყო, ნაკადულს მინიატურული მეანდრეები შეეკმნა, მე ეკლავიც მიეხვევი ნაკადიულ, რომელსაც ქვიდან ქვისაკენ, აუზიდან პატარა ჩანჩქერისაკენ მიეყავდი . ვიდრე უკანასკნელ კიბრო ხვრელთან არ მიმეყვანა. წყალი ნაპრალში ეარდებოდა ისეთი ხმაურით, რომელიც ეაცის ქვითონს ჰგავდა. აქ თავდებოდა მღვიმის მისაწვდომი ნაწილი, ისევ დარბაზში დაებრუნდი, რომელიც კარგად იყო გაანათვალი, "შეეჩერე მეორე ეკენაში, რომელიც უფრო ვიწრო მეჩვენა. ეკენაში თანდათანობით ნაპრალის სახე მიიღო. ახლა მოძრაობა მიხეეზოდი ვიწრო ნაპრალში, თან ხელებია და ფეხებით ეკდლეს ეკვერდნობოდი, ჩემ ძირს კი დაელაგნილი, ძველი ნამენარეკი „ხეობა“ იყო. რამდენიმე მეტრის შემდეგ ნაპრალმა 30—40°-ით მოეხვია. მისი ბერი ეკლის პირიდან ვიწროდებოდა, სანთლის ალი მხოლოდ ეკდლების გაურკვეველ მოსახულობას ანათებდა. ზევით კი ჩემ წინ ეაყენი სიბნელე იყო.

აქ ჩემთვის ნაცნობი არაფერი იყო. ეკან გამოვბრუნდი, მაგრამ ანგარიშიეეიემად ეგრძნობდი, ასე უბრალოდ წასვლა არ შემეძლო. ეკლე ვდგიწროვდი ეკდლები,—თითქოს ერთმანეთს შეეერთდნენო, ბერი კი იატაკს მიეკრა. ისევ ხიხვი მოვხიხეი, ბერი სულ უფრო ქვეითი ეშვებოდა, შემდეგ კი იატაკის პარალელურად გადიოდა. იატაკი იყო სველი და უბრალოდ ზედმეტი მოძრაობა ორგანიზმის ტკივილს იწვევდა დანის პირივით ბასრ ეკდლებზე მიჯახებისასაც.

დაახლოებით 17 მეტრის ეკვლის შემდეგ თავი შევეყავი ტალანში, რომელიც სტალკტიტებისა და სტალაგმატების წვეტებით იყო დაფარული. ეუპპად სი ნათელე ჩანერა. წარმოიიდგინეთ ადამიანი, რომელიც ნახეკრად ბეგრამაში გაჩხერილი და რომელსაც ორგანიზმთან შეხების უფლებას არ აძლევს მარწუხებივით შემორტყმული კირქვის ლოდები. უნებლიე შიშმა შემპყრო. როგორც იყო, გავბრუხდი წინ და მივწვდი ასანთს, რომელიც საიმედოდ მქონდა შენახული, რათა არ დამსველებოდა. ავანთე სანთელი. მიწის ქვეშ ადამიანს ატყუებს სმენა და მხედველობა. წვდადიდი, რომელსაც ძლეს ფანტავს სანთლის შუქი, ზომისა და პროპორციის გრძნობის გვაკარგვინებს და ჩვეხგან ფარავს ყველფერს, რითაც კი ჩვეულებრივ შედარებისათვის ესარგებლობთ.

ტალანი კარგად დავათვალიერე, ეერზე მეეანის ფესვები ეკეფენენ, ეტყობა წვიმის ღროს წყლის ნაკოხის ნიშანი — კედლები ტალახით იყო დასვრილი.

პატარა ხვრელი შევნიშნე ტალანში, რომელიც საფინალოდეგენ მიმართულებით მიდიოდა. შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ იგი ქვებით იყო ჩაკეტილი, დავიწყე ქაქვა. აქედან გასასვლელი აეეცალოდად უნდა ყოფილიყო. რამდენიმე წუთის მეშაობის შემდეგ გვირაბის კარი გამოჩნდა.

შევაეერი რამდენიმე მეტრზე — ყველა ქვებმა გადაეიღობეს გზა, მაგრამ მათი ჩამოშორება ადვილი აღმოჩნდა. მიეაწეკი და... თვალებში მოჰხვდა მკრთალი შუქი, რომელიც ღღის სინათლეს არ ჰგავდა. თერმე ისევ იმ დარბაზს მივადექი, რომელშიც ანთებული სანთელი დფატეეე. აქედან დარბაზში ჩასვლა ეთოყოდ არ შეიძლებოდა. შესაძლებელია მეეიმე უფრო შორს მიდიოდა, მაგრამ ზემოდან ჩამორეცხილი მიწის ფენები-ამდენად მაღალი იყო, რომ მხოლოდ წყლის გატარება შეეძლო. აქ გამოსასვლელის ძებნა ღიდ მეშაობას მოითხოვდა. რაც მე მარტოს არ შემეძლო.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ წყალი, რომელიც მეეიმეში აწარმოებდა „მეშაობას“, ორ ადგილს — ზემოთ და ქვემოთ — ეფსკრულის პირთან ეპარებ იმ ნაკადულს, რომელიც მეეიმის პირას ჩაედინება (ბინდარის სახელი სამწუხაროდ არ იცოდნენ). შემდეგ კი ეს გამოპარული წყალი ისევ იმ ნაკადულს ეერთდებეა წყალის სახით. ქვევით, 50—60 მეტრის დაშორებით მღვიმის პირიდან ეკვე საათზე მეტია მიწის ქვეშ ვარ. ხეხრად ეჩერდები, რომ კოპმასით შეეამოწმო ადგილმდებარეობა და მღვიმის სქემატურ გეგმაზე ადანიშნო. გავეკანი ალეკეერ ნაღვეეეს, კოროზიის მოვლენებს და სხვ. დაფლილადაქანცული გამოვედი მთავარ დარბაზში, საიდანაც თოკით ამოყვანის ექსპედიციის ეფროსმა ლევან მარუაშვილმა და შეგზერმა ბინდო დარსალამ. ამოვედეი ღღის სინათლეზე და იმწამსვე გეგგერდი ბალახზე ეეეეკიანი და ოლაგამოეეელი, მაგრამ ,ბყოფილი იმით, რომ დაეიპყარი მეტად ძნელი კარსტული მღვიმე, რომელსაც ადგილობრივ მეშოურებლები მიეკარებლად თვლიდნენ.

რომან ფირცხალავა,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

საანგარიშო კრებაზე

სახელმწიფოს დაცვა, საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი ამაღლება პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინიდათა წმიდა მოვალეობაა. ამ ამოცანების შესრულებაში გარკვეული წელილი შეაქვთ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით ორგანიზაციებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის კომიტეტს მეშაობა დამყარებელი მასის თვითმოქმედებაზე.

1961 წლის 12 ნოემბერს შედგა ამ ორგანიზაციის კრება; სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარე ი. მახარაძე. მან ილაპარაკა ამ ორგანიზაციის როლზე, მის მასობრობაზე. დოსაფის წევრთა ტექნიკური მომზადებისა და სხვა საკითხების შესრულების საქმეში კომიტეტმა გაატარა რიგი ღონისძიებანი; კარგად მეშაობენ რადიომინიმუმის და ავტომძღოლთა შემსწავლელი სექციები.

მომხსენებელი შეეხო ნაკლოვანებებსაც. სამწუხაროდ, ისეთ დიდ ორგანიზაციას, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტია, არ აქვს თვითმოქმედი კლუბი, სადაც შეიძლებოდა ტექნიკური მომზადების სხვადასხვა სახეობათა წრეების მეშაობის გაწყობა და მასში ფართო მასების ჩაბმა.

უნივერსიტეტს არ გააჩნია თავისი ავტომანქანა, მოტოციკლი და სხვა მატერიალური ბაზა ავტომძღოლთა და მოტოციკლეტისტთა მოსამზადებლად.

მომხსენებელმა შესაბამისი ადგილი დაუთმო კადრების მომზადების საკითხს, მისი სიტყვით, 2-ჯერ ჩატარებული შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეში, რა თქმა უნდა, სრულიად პრასაკმარისია. შემდეგ ილაპარაკა სამოქალაქო თავდაცვის სწავლებაზე. მეეადინეობები წინასწარ შემუშავებული გეგმებით და ეხლოვანი რეგულარულად არ ტარდება. რამაც ამ ჯგუფებში გამოიწვია სწავლის გაგრძელება სასწავლო წლის ბოლომდე.

მომხსენებელი შეეხო ასევე საგიტაციო-პროპაგანდისტულ მეშაობას, მან მკაფიოდ გააშუქა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, კომკავშირისა და პროფკავშირის დახმარება და მხარდაჭერა თითქმის—ყველა განხორციელებულ ღონისძიებაში.

კამათში გამოვიდნენ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ქაჯთარაძე, იტრიდიული ფაკულტეტის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ლაბარტყავა, დოსაფის კომიტეტის წევრი კ. ადეიშვილი და სხვ. საანგარიშო კრებამ დასახა ღონისძიებები მეშაობის შემდგომი გაეკმაყოფილებისათვის.

კრებამ აირჩია უნივერსიტეტის დოსაფის კომიტეტი 9 ამხანაგის შემადგენლობით და დოსაფის ორკომიტეის რაიონის V კონფერენციის დელეგატები;

უნივერსიტეტის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ი. მახარაძე. მოადგილედ — ბ. ჯინჭარაძე.

ნორჩ კალათბურთელთა წარმატება

ეს-კვ რამდენიმე წელია, უნივერსიტეტის სპორტკლუბთან ჩამოყალიბებულია ნორჩ კალათბურთელთა სექცია, სადაც მწვრთნელია — დავით ჭამეშაძის ხელმძღვანელობით საშუალო ასაკის მოსწავლეები ვარჯიშობენ.

მონდომებულმა ვარჯიშმა ნაყოფი გამოიღო, მოსწავლეებმა რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა, სადაც ტექნიკური და მონდომებული თამაში აჩვენეს.

ნოემბერში ჩატარდა თბილისის პირველობა კალათბურთში ჭაბუთა შორის. ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა სძლიეს მათზე უფროს კალათბურთელებს და III სპრინზო ადგილი დაიკავეს.

განსაკუთრებულ დიდ წარმატებას მიაღწია გუნდმა ახლახან დამთავრებულ საკავშირო პირველობის შესარჩევ ტურნირზე, სადაც მონაწილეობდნენ „ფინამოს“, თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის, „ლოკომოტივის“ და „ჭარშიანას“ გუნდები. უნივერსიტეტის ნორჩმა კალათბურთელებმა ეს შეჯიბრება მაღალ ტექნიკურ დონეზე ჩატარეს და ღირსეულად დაიკავეს პირველი ადგილი.

განსაკუთრებით კარგად ითამაშა გუნდის თავმა რეზო ჩარხიანმა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ იქნა აღიარებული.

უნივერსიტეტის ნორჩი კალათბურთელები მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში ჭაბუთა შორის, რომელიც მაგრში გაიმართება მომავალი წლის იანვარში.

ნუგზარ ფოფხაძე

სურათზე: საკავშირო პირველობისათვის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებული უნივერსიტეტის სპორტკლუბთან არსებული ნორჩ კალათბურთელთა გუნდი (მარცხნიდან — მარჯვნივ): გ. ჯაფარიძე, გ. გეგეჭავა, თ. ვაშაკიძე, რ. ჩარხიანი (გუნდის თავი), ბ. ანდღულაძე, პ. ფოთაძე, კ. ხულამე.

ფინალური მატჩი 8 დეკემბერს შედგა. 20 ნოემბერს სახელმწიფო ტაბლიანზე ეკიპაჟმა მაყურებელი ითვალა თავ. ერთობლივის პირველობის გამარჯვებული დიდი სიფრთხილით აღგზნებული ორი გუნდი ოდგა: ჩვენი უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფეხბურთელთა ნაკრები. ორ კოლექტივის. მათ კოლექტივის სახელობის თასის მოპოვებისათვის ფინალამდე სამ-სამი შეხვედრა ჩატარეს და გაიმარჯვეს. თუ სსი ფეხბურთელებს შედარებით სუსტ გუნდებთან მოუწიათ შეხვედრა (ცალ-ალინერნატა, ადგილობრივი მრეწველობის და მაღალკამეოლის ფაბრიკის გუნდები), ჩვენებმა, პირიქით, საქართველოს პირველობაზე I ჯგუფში მონაწილე გუნდებთან ჩატარეს მატჩები (ფიზკულტურის ინსტიტუტელებთან მოიგეს 2:1, თბილისის „სპარტაკთან“ — 2:0, ხოლო თბილისის არმიელებთან — 2:0).

ჩვენი გუნდის მიერ ასეთი გრძელი გზის წარმატებით გავლას ხელი შეუწყო მოთამაშეთა კარგმა ფიზიკურმა და ტექნიკურმა მომზადებამ, რამაც დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მწვრთნელს ანზორ პაიჭაძეს.

ფინალური თამაშის დღეს გუნდები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე: სსი — კვაჭაძე, ქაჯაია, კანდელაკი, სუპატაშვილი, ოხიანი, მანაჩი, გოგლაძე, თალაკაძე, ჩიხლაძე, ისიანი, მაჭარაშვილი. თსუ — მაჭარაძე, ქურციკიძე, ბარათაშვილი, კეკელია, ბურდულაძე, ყვანია, ეასაძე, მანგალაძე, რუხაძე, კაკალელაკი და ლეკვაკი.

თამაში სსი ნაკრების შეტევით დაიწყო, რაც თითქმის 15 წუთს გაგრძელდა, მაგრამ შეკარისა და მკაცელობის კარგმა თამაშმა იხსნა ჩვენი კარი გოლისაგან. თამაშის მე-17 წუთზე ტ. ეასაძემ შესანიშნავი ფინტით უკან ნამოიტოვა მოწინააღმდეგის ორი მოთამაშე და ბერთი კარგ მდგომარეობაში მყოფ ნ. რუხაძეს მიაწოდა, ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მცირე მანძილით აცდა სსი-ს გუნდის კარს.

მოედანს ისევ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენები დაეპატრონენ და მალე შედეგსაც მიაღწიეს. თამაშის 25-ე წუთზე ბურთი გაიტანა ბ. თალაკაძემ, ამან თითქოს გამოიფიზიკა ჩვენები. ისინი ხშირად გადიოდნ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნისაკენ. ძალიან უჭირთ მოწინააღმდეგის მცველებს ჩვენი ტექნიკური გარეშერბის ტ. ეასაძის დაჭერა. ამიტომ ისინი მიმართავენ უხეშობას, მოთამაშეთა „მოცალეს“. 35-ე წუთზე ტ. ეასაძემ მიღო გ. ყვანიის კარგი გადაცემა, სწრაფად გაიქცა წინ, ცოტ მოძრაობით უკან ჩამოიტოვა მცველი სუპატაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ფეხის დადება მაინც მოასწრო. ტ. ეასაძე წაიქცა, მსაჯი სამართლიანად ნიშნავს 11 მეტრიან საჯარიმო დარტყმას, ამასთანავე სსი-ს გუნდის ერთ-ერთ მცველს ანეკეთს მოეფინდას. პენალტი კარგად გამოიყენა ნ. ბურდულაძემ და ანგარიში გათანაბრება — 1:1.

ამის შემდეგ თამაში გადაჰყავთ უსიერტესობით წარიმართა, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა, თამაში ძირითად დრო — 90 წუთი ამოიწურა. დამატებინა დამატებითი 30 წუთი. რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა სსი-ს გუნდის კართან, მაგრამ სამოლოო დარტყმები ყოველთვის ანარეტები აღმოჩნდა. ჩვენმა ბეკარეკ ლ. მაჭარაძემ „ბაკარი“ ბურთები აიღო, ხოლო მცველმა ჯ. კეკელიამ ორჯერ გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან... მეორეა თამაშის 120 წუთი. ანგარიში უცვლელი (1:1) დარჩა.

განმეორებითი შეხვედრა მეორე დღეს ითვალა გადიდო. 9 დეკემბერს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ბ. აკოიანელის სასტვინის ხმაზე გუნდებმა თამაში დაიწყეს. სსი-ს გუნდმა წინა დღეთ უხეშობასთვის მოეფინდა გაძვეფული მცველი, ო. კანდელაკი ისე თამაშობდა...

თამაშმა ამ დღესაც 120 წუთს გაგრძელა, ანგარიში 105-ე წუთზე გახსნა სსი-ის ფეხბურთელებმა. ეს მოხდა ზ. ქაჯაიას მცველია ჯ. კკაკელია „ბედმის შედეგად, რომელმაც სასარგებლოდ ხელით ითამაშა. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გატანილმა ბურთმა — გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. მეტად დაბალი, 240-წუთიანი მატჩი დამთავრდა ოსეთ-ის ფეხბურთელთა გუნდის დასანანი წაგებით.

მატჩის შემდეგ კონსტიტუციის სახელობის თასი გადაეცა სსი-ს ფეხბურთელებს I ხარისხის დაჯილდოებთან ერთად. ჩვენი გუნდი დაჯილდოდა სამასპინძო გამარჯვებით და II ხარისხის დიპლომებით. აღსანიშნავია, რომ გუნდის 13 მოთამაშეს შეასრულა I თანრიგის ნორმა ფეხბურთში.

გუნდი ახლა კარგ სპორტულ ფორმაშია. სპეციალ მზადება მიეტ ყურადღება ფეხბურთისა და სპორტის ეთაფერისა და სხვა ორგანოებისაგან. გუნდს უნდა გამოეყოს ზამთარში საგარაჯის დარბაზი, მომთავაზეს ეუცილებელ სპორტული ინვენტარით, რომ შეძლონ ენერგიულ ფორმაში ფეხბურთ. და გაგრძელდეს ბრძოლა უფრო სასტიკი შეხვედრების მოპოვებისათვის.

გელა საითიძე,
საკუთარი კორესპონდენტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების დაჯილდოება

როგორც ცნობილია, ყოველწლიურად, უმაღლესი სკოლების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების შემდეგ „ეწყობა“ სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომების რესპუბლიკური დათვალიერება. წელსაც ასეთი დათვალიერებაში ჩვენი უნივერსიტეტის ბეგრმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

სტუდენტთა მეცნიერული შრომების რესპუბლიკური დათვალიერების საკონკურსო კომისიის წარდგენის საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჯახროკიამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც 1960—1961 სასწავლო წელს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოების მაღალხარისხოვანი შესრულებისათვის დაჯილდოებულია რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა დიდი ჯგუფი. მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტიდან:

I. დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სიგელით:

1. **ხარალიძე ზ.,** ფიზიკის ფაკ. V კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ელექტრონების არაფრენადი გაფენტვა ბირთვზე“.
2. **ბარამიძე გ.,** ფიზიკის ფაკ. V კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „კვანტების რეზონანსული გაბნევა ბირთვზე“.
3. **გრიგოლია მ.,** მექანიკა-მათემატიკის ფაკ. III კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „კოშის ტიპის მეტატაპლოკატური ინტეგრალის ზღვრულ მნიშვნელობათა შესახებ“.
4. **ქვიციანი ს.,** ისტორიის ფაკ. III კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ქართული ხალხური სახმელეთო ტრანსპორტი“.
5. **ნახიძე გ.,** ისტორიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „სხეულნ-მრონჯათა ხანის მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში“.
6. **მეტრეველი რ.,** ისტორიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „პრპპიციდების გავლენა სარეველა მცენარეებში ნახშირწყლოვან ცვლაზე“.
5. **ჯაფარიძე ი.,** მბილოგიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ურანით დასხივებების გავლენა ზოგიერთი ფიზიოლოგიურ და ბიოკემიურ მაჩვენებლებზე ეაზის ფოთოლში“.
6. **კოკილაძე რ.,** ფილოლოგიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის— «Сложно сочиненное предложение с союзом «и»“.
7. **ებრალიძე ზ.,** ფილოლოგიის ფაკ. V კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — «Союз «как» и его функции в современном русском языке».
8. **ანთელავა გ.,** აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ლეგსიკური ცვლილებების შესახებ თანამედროვე ოერქულ ენაში“.

II. დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სიგელით:

1. **ზერაია თ.,** ქიმიის ფაკ. III კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — «Синтез 5-фенил нонадиен—1,8 дина— 3,6 ол—5 и 3, 6, 7, 7 — тетраметил октин — 4 диола — 3,6».
2. **მენთეშაშვილი მ.,** ქიმიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „1-ფენილ 5 ოქსიციკლოპენტენ — 1—ინ—4 ოლ—3-ის სინთეზური და კატალიზური ჰიდრირება“.
3. **ურუშაძე მ.,** ქიმიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ეთინის და ქლორის ნარევთა ალენის არე“.
4. **ეუფუნაძე მ.,** ბიოლოგიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „თრიალეთის განთხარი ეტლები“.
7. **სურგულაძე ე.,** ეკონომიკის განყოფილების III კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ირიდინ ევდოშელის ბუნებისტეტა“.
8. **კალაძე ი.,** აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ. V კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ვისრამიანის პოეტური რედაქციის შესახებ“.
9. **ასლამაზიშვილი დ.,** ფილოლოგიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „აქილევსის სადაურობისათვის“.
10. **გორდეზიანი რ.,** ფილოლოგიის ფაკ. III კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის — „ფეკეკების ქვეყანა და მათი ზნე-ჩვეულებანი“.
11. **ეფენტი ნ.,** ფილოლოგიის ფაკ. V კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის— „ალეკსანდრე ბეკქაკაძე და ანტიკური მწერლობა“.
12. **გოგაშვილი ნ.,** აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ. V კურსის სტუდენტი ნაშრომისათვის — „ნიზამის მხატვრული ხერხები“.
13. **ფარეანაძე დ.,** ფილოსოფიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, ნაშრომისათვის— „რიითმისა და რიტმის გავლენა დასწავლის სისწრაფეზე სკოლამდელ პერიოდში“.

III. აღინიშნა საუკეთესო ნაშრომები შემდეგი სტუდენტებისა:

1. **ვეალია ნ.,** ქიმიის ფაკ. IV კურსის სტუდენტი, („ფენოლ-ალდეჰიდის ფიზები“).
2. **შუბნაშვილი მ.,** ფილოსოფიის ფაკ. II კურსის სტუდენტი („დასაბუთების ზოგიერთი საკითხი ნორმალური ლოგიკის მიხედვით“).
3. **ოორდანიდი ს.,** ფილოლოგიის ფაკ. II კურსის სტუდენტი (**место ударения в глаголах с приставкой «вы» и образованных от них существительных»**).
4. **კრომი ო.,** ფილოლოგიის ფაკ. III კურსის სტუდენტი («**Вопрос о частях речи в русской лингвистической литературе**»).

სპორტის კრებული

მცველის შეცდომა და დაკარგული თასი

ცხარე სპორტულ ბრძოლაში

მეცნიერების ტაძარი— თბილისის უნივერსიტეტი — რამდენიმე დღის წინათ უნივერსიტეტის სპორტკიბოდის მონაწილეთა ცხარე სპორტულ ბრძოლებია დიდ არენაზე წარმოადგენდა. საკმაო ხალხიარსე, „სპორტულ დარბაზში, რომელზე ასობით სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის.

განსაკუთრებით შეუპოვარი იყო ბრძოლები რინგზე. სხვადასხვა ფაკულტეტების 120 სტუდენტი სამი დღის განმავლობაში ეცილებოდა ერთმანეთს საუნივერსიტეტო „ჰარეული ხელთათმანის“ სპატარა წოდების მოსაპოვებლად. კრიგში მონაწილეთა ასეთი დიდი რაოდენობა უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე არნახული მოვლენა ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. რინგზე გამართულმა ბრძოლებმა სულ რამენაირად დღის განმავლობაში გამოაცალა ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც ამ „ბრავი“ სტუდენტებისა ტ. ეასაძის დაჭერა. ამიტომ ისინი მიმართავენ უხეშობას, მოთამაშეთა „მოცალეს“. 35-ე წუთზე ტ. ეასაძემ მიღო გ. ყვანიის კარგი გადაცემა, სწრაფად გაიქცა წინ, ცოტ მოძრაობით უკან ჩამოიტოვა მცველი სუპატაშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ფეხის დადება მაინც მოასწრო. ტ. ეასაძე წაიქცა, მსაჯი სამართლიანად ნიშნავს 11 მეტრიან საჯარიმო დარტყმას, ამასთანავე სსი-ს გუნდის ერთ-ერთ მცველს ანეკეთს მოეფინდას. პენალტი კარგად გამოიყენა ნ. ბურდულაძემ და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ამის შემდეგ თამაში გადაჰყავთ უსიერტესობით წარიმართა, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა, თამაში ძირითად დრო — 90 წუთი ამოიწურა. დამატებინა დამატებითი 30 წუთი. რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა სსი-ს გუნდის კართან, მაგრამ სამოლოო დარტყმები ყოველთვის ანარეტები აღმოჩნდა. ჩვენმა ბეკარეკ ლ. მაჭარაძემ „ბაკარი“ ბურთები აიღო, ხოლო მცველმა ჯ. კეკელიამ ორჯერ გამოიტანა ბურთი ცარიელი კარიდან... მეორეა თამაშის 120 წუთი. ანგარიში უცვლელი (1:1) დარჩა.

განმეორებითი შეხვედრა მეორე დღეს ითვალა გადიდო. 9 დეკემბერს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ბ. აკოიანელის სასტვინის ხმაზე გუნდებმა თამაში დაიწყეს. სსი-ს გუნდმა წინა

ორამედ რესპუბლიკის სპორტული ლორსენის დაცვა.

ეკონომიკა კატეგორიის მიხედვით უნივერსიტეტის ნემპიონობა მოიპოვეს ე. ჯანიაშვილმა, ო. ტაბაშვილმა, ლ. მნაცაკანოვმა, თ. ჩიკობავამ, ბ. ბოზინეა, მ. ტქემანაურმა, ა. ალეშვილმა, ნ. შენგელიამ, მ. ფეფალმა და გ. სვანიძე.

გუნდურ ჩათვლაში სპორტი ადგილები დაიკავეს ეკონომიური, ფიზიკისა და ეკონომიკურ ფაკულტეტების სპორტსმენებმა.

რ. ანასტასიადი

სურათზე: ნ. შენგელია-სა და კ. კკაკელიძის შეტანილ ერთერთი მოიგნ.

ფოტო კ. ცხოველიძისა

ზეპირი ქურნალი № 3

8 დეკემბერს, საღამოს 7 სათზე უნივერსიტეტის საკმო დარბაზში ჩატარდა ზეპირი ჟურნალი № 3-ის კითხვა, რომელიც გახსნა ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ვ. კოკოშაშვილმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობისა და ჩვენი ამოცანების შესახებ სიტყვით გამოვიდა დოც. ი. ბაკანიძე.

საინტერესო ლექციით — „სოციალური წარმოშობა დედამიწაზე“ გამოვიდა აკად. ვ. ასათიანი.

„შეიდეგ ინფორეფში მოგზაურობის შესახებ თავიანი შთაბეჭდილებებით გამოვიდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი მ. ყვაველავა.

უნივერსიტეტის პროორკტორმა პროფ. მ. მირიანაშვილმა მოხსენება წაიკითხა „ადამიანის გაახალგაზრდავების შესახებ.

ბოლოს დარბაზში შერეულმა უჩვენეს საინტერესო დოკუმენტური ფილმები: „ბრიუსელის გამოფენა“, „ყვავილების ყალიმარი — მ. მამულაშვილი“ (მამულაშვილი თვით იყო მოწვეული სალამოზე), „ფაშისტის დამარცხება თოკინების მიერ“ და სხვ.

ს. ხორნაული

რედაქტორი ი.ო. ფეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—35—84

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1, ტირაჟი, 1 500, ეუ 08901